



# სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის გამომცემი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის გამომცემი  
გამომცემი 1957 წლიდან  
№10 (298) დეკემბერი, 2016 წელი

# გაზეთი



თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია: მინდა გულითადად მოგილოცოთ შობა-ახალი წელი! გისურვოთ განვითარება, წინსვლა, ახალ-ახალი მიღწევები აკადემიურ-სამეცნიერო სფეროსა და პრაქტიკულ საქმიანობაში, ჯანმრთელობა და კეთილდღეობა!

ჩვენ ობიექტური და სერიოზული გამოწვევების წინაშე ვდგავართ, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, ნაბიჯ-ნაბიჯ, ინტელექტით, შრომით და, რაც მთავარია, ჩვენი უნივერსიტეტის და პროფესიის სიყვარულით ერთად დავძლევთ ყველა პრობლემას



833

## სტუდენტური გვერდი:



- პატარების გასახარად
- რა, სად, როდის?
- სტუდენტებმა შიდსთან ბრძოლის მსოფლიო დღე აღნიშნეს

834

## • WHY DO WE CHOOSE MEDICINE?



წინასაშობაო განწყობა წელ-წელა ეუფლება ქალაქს. ახლა კეთილი სურვილების, ქველმოქმედების და საჩუქრების დროა. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი არც ამჯერად ღალატობს ტრადიციას და არ ივიწყებს მათ, ვისაც ყველაზე მეტად სჭირდება და ახარებს ჩვენი თანადგომა



836



თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სპორტის და ხელოვნების ცენტრთან არსებული თეატრი „ჭიგია“ ფესტივალ „წილაბი 2016“-ის ოთხი პრიზის მფლობელი გახდა



835





**2** **დაკავშირება**

**საზრანგეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის ვიზიტი**

2016 წლის 15 დეკემბერს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს ეწვივნენ: საფრანგეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში, მისი აღმატებულება პასკალ მენიე, საელჩოს ატაშე სამედიცინო და საუნივერსიტეტო ურთიერთობებში – ტერი ბიურტე, საქართველოს ფრანგული ინსტიტუტის დირექტორი – ჟან ივ ლაფური, „UniMan“ მენეჯმენტისა და მართვის აკადემიის (გრენობლი, საფრანგეთი) აღმასრულებელი დირექტორი, პროფესორი სოფი ისლვესტრი, პროფესორი პატრიკ სილვესტრი, საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის ხელმძღვანელი მარიამ ნითლანაძე-ჟოკაი და თსსუ-ის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამის „საზოგადოებრივი ჯანდაცვა და მენეჯმენტი“ ფრანგული ენის სწავლების ხელმძღვანელი, პროფესორი სებასტიან ჟოკაი.



პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია სტუმრებს ესაუბრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისა და „UniMan“-ის მენეჯმენტისა და მართვის აკადემიის ერთობლივი საბაკალავრო პროგრამის „საზოგადოებრივი ჯანდაცვა და მენეჯმენტი“ შესახებ.

ლონისძიებებს ესწრებოდნენ: თსსუ-ის რექტორი, პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია, ვიცე-რექტორები: პროფესორი ხათუნა თოდაძე, პროფესორი რიმა ბერიაშვილი და ასოცირებული პროფესორი ირაკლი კობრიძე; საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი ირაკლი მჭედლიშვილი, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსის მოადგილე, ირინა კაპუტივაძე და დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი ნინო კანდელაკი, ფარმაციის ფაკულტეტის სამედიცინო-კვლევითი და პრაქტიკული უბრა-ჩვევების ლაბორატორიის ხელმძღვანელი, ასისტენტ-პროფესორი ლაშა მსხილაძე.

საფრანგეთის ელჩმა, მისმა აღმატებულმა პასკალ მენიემ, აღნიშნა, რომ განათლება და ჯანდაცვა წარმოადგენს ქვეყნის განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებებს. საფრანგეთი მზადყოფნას გამოთქვამს, სრული მხარდაჭერა აღმოუწოდოს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს.

ვიზიტის ფარგლებში ფრანგი სტუმრები შეხვედნენ პროგრამის – „საზოგადოებრივი ჯანდაცვა და მენეჯმენტი“ – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ხელმძღვანელს, პროფესორს ზურაბ ვადაჭკორიას, ვიცე-რექტორებს: პროფესორს ხათუნა თოდაძეს, პროფესორს რიმა ბერიაშვილს, პროფესორს ირაკლი კობრიძეს, პროფესორს ირაკლი მჭედლიშვილს, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსს მოადგილეს, ირინა კაპუტივაძეს და დეპარტამენტის მთავარ სპეციალისტს ნინო კანდელაკს, ფარმაციის ფაკულტეტის სამედიცინო-კვლევითი და პრაქტიკული უბრა-ჩვევების ლაბორატორიის ხელმძღვანელს, ასისტენტ-პროფესორს ლაშა მსხილაძეს.

**საშუალო ვიზიტით ემორის სამედიცინო სკოლაში**

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დელეგაცია, დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის დირექტორის, ასოცირებული პროფესორის, ეკა ეკალაძის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის, პროფესორ ირინე კვაჭაძის და შინაგანი მედიცინის NI დეპარტამენტის ხელმძღვანელის, პროფესორ კახაბერ ჭელიძის შემადგენლობით, სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდა ემორის სამედიცინო სკოლაში (ატლანტა, აშშ). ვიზიტის მიზანი იყო დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის იმპლემენტაციის ხელშეწყობა, ხარისხის უზრუნველყოფის გეგმის შემუშავება ამერიკელ კოლეგებთან ერთად მათი გამოცდილების გაზიარებით და განსაკუთრებული აქცენტით პროგრამის ე.წ კლინიკურ ნიშნებზე.

სწავლებაზე პასუხისმგებელი პირი (დირექტორი), ემორის კლინიკური უნარებისა და სიმულაციის ცენტრის ხელმძღვანელი, ექსპერიმენტული სწავლების ცენტრის დირექტორი; ქეთინ გარბერთან (ასოცირებული პროფესორი, მოდელის – „გენეტიკა და ევოლუცია“ – კოორდინატორი); ვილი ნიკოლთან (ასისტენტ-პროფესორი, მოდელის – „მომიარობა და ვარჯიში“ კოორდინატორი); ზოპერ კაპასთან (ასოცირებული პროფესორი, სამედიცინო რეაბილიტაციის სკოლის დირექტორი), მერი იოჰანსონთან (ასოცირებული პროფესორი, სამედიცინო რეაბილიტაციის სკოლა).

შეხვედრები ემსახურებოდა ემორის სამედიცინო სკოლის კურსკულებს სპეციფიკის, აკადემიური პერსონალის როლის, ჩართულობის ხარისხისა და პასუხისმგებლობის გაცნობას, კურსკულების განვითარების და სასწავლო პროცესის სხვადასხვა საკითხის მოგვარების სპეციფიკის შესწავლას. ამ მიზნით თსსუ-ის წარმომადგენლები დაესწრნენ რამდენიმე ლექციას და პრაქტიკულ მეცადინეობას, ასევე „კურსკულების განვითარების საბჭოს სხდომას. გარდა ამისა, კლინიკურ ნიშნებში სწავლების გამოცდილების გასაცნობად, პროფესორი კახაბერ ჭელიძე რამდენიმე დღის განმავლობაში სტუმრობდა გრიდის ჰოსპიტალს, სადაც იგი დაესწრო პროფესორ ალენ დოლარიას და პროფესორ რიჩარდ პიტმანის ხელმძღვანელობით მიმდინარე კლინიკური სწავლების კურსს. პროფესორი გიორგი ჩერჭეროვთან განიხილეს პროგრამის მიმდინარე საკითხები, პრობლემები და მათი გადაჭრის გზები.

ვიზიტის ფარგლებში თსსუ-ის წარმომადგენლებმა, სასწავლო პროცესის სხვადასხვა სფეროს დეტალური გაცნობის მიზნით, გამართეს რამდენიმე მნიშვნელოვანი შეხვედრა: გორდონ ჩერჩკორთან (ემორის სამედიცინო სკოლის ასოცირებული დეკანი სამედიცინო განათლების დარგში და სტუდენტების ხელშეწყობის სფეროში); მერი ჯო ლეკოვიჩთან (ემორის სამედიცინო სკოლის ჰემატოლოგია-სა და ინკოლოგიის ასოცირებული პროფესორი, „გახდი ექიმის“ კურსის ინსტრუქტორი; კვლევის მოდულის ხელმძღვანელი); დულას ანდრთან (ემორის სამედიცინო სკოლის ასოცირებული დეკანი სამედიცინო განათლების დარგში, დიპლომირებული განათლებით დადასტურებული მედიცინის

**ონკოლოგია საქართველოში 70 წლისაა**

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში „კლინიკური ონკოლოგიის საქართველოს საზოგადოების“ და ჟურნალ „კლინიკური ონკოლოგიის“ ორგანიზებით, გაიმართა მე-5 საერთაშორისო შემადგამებელი კონფერენცია – „ონკოლოგია საქართველოში 70 წლისაა“.

კონფერენციის მუშაობაში პრიტანელი ონკოქირურგები, პროფესორები: ტომ სესლი და იან ჯენკინსი მონაწილეობდნენ.

ლონისძიება გახსნა კლინიკური ონკოლოგიის საქართველოს საზოგადოებისა და თსსუ-ის ონკოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, პროფესორმა რემა ლვამიჩავამ, რომელმაც მიმოიხილა 2016 წელს კლინიკური ონკოლოგიის საქართველოს საზოგადოების საქმიანობა, ყურადღება დაეთმო ონკოლოგიის და ონკოლოგიის სფეროში მომუშავე სხვა ექიმებისათვის მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების მიღწევების გაცნობას. საზოგადოების წევრები, პრაქტიკული კლინიკური საქმიანობის პარალელურად აქტიურად მონაწილეობდნენ საქართველოსა და უცხოეთში გამართულ სამედიცინო ფორუმებში. საზოგადოების წევრების მიერ 2016 წელს გამოქვეყნდა 65 სამედიცინო პუბლიკაცია, მათ შორის – 16 უცხოურ გამოცემებში. პროფესორ რემა ლვამიჩავას განცხადებით, მნიშვნელოვანია ისეთი წარმატებები, როგორც არის პერსონალიზებული მედიცინის დანერგვა, ასევე, ქვეყანაში პაციენტების ქიმოთერაპიის და ჰორმონოთერაპიის დაფინანსება.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორის, პროფესორ ზურაბ

ვადაჭკორიას განცხადებით, უნივერსიტეტის ონკოლოგიის დეპარტამენტს დასავლეთის არაერთ წამყვან უნივერსიტეტთან აქვს საერთაშორისო კავშირები. მან იმედი გამოთქვა, რომ ბრიტანელ და ქართველ კოლეგებს შორის სამომავლო თანამშრომლობა უფრო გაღრმავდება.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორმა, ასოცირებულმა პროფესორმა ირაკლი კობრიძემ, თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ თსსუ ყოველწლიურად მასპინძლობს კლინიკური ონკოლოგიის საქართველოს საზოგადოების შემადგამებელ კონფერენციას, რომელიც ემსახურება დარგის წამყვან ქართველ და უცხოელ სპეციალისტებს შორის ინფორმაციის ურთიერთგაცვლას ონკოლოგიის თანამედროვე ასპექტებსა და მიღწევებზე.

ლონისძიებაზე სიტყვით გამოვიდნენ: დავაძებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელი დირექტორის მოადგილე, ირმა გინელიძე, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის თავისა და კისრის ონკოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი კონსტანტინე მარდალაიშვილი, კლინიკა „Anglo Medical LTD“-ს დირექტორი კარინა სალავეი, პერიტონეალური სიმსივნეების ინსტიტუტის კლინიკური დირექტორი, პროფესორი ტომ სესლი, წმინდა მარკის და ნორტვიჩპარკის ჰოსპიტლების წამყვანი კოლორექტული ქირურგი, პროფესორი იან ჯენკინსი.

**შრი-ლანკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი თსსუ-ში**

2016 წლის 30 ნოემბერს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს ეწვია შრი-ლანკის დემოკრატიული სოციალისტური რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი, მისი აღმატებულება პ.მ. აშა მუელლი, კონსული ლევან ჭოლაძე და შრი-ლანკის დემოკრატიული სოციალისტური რესპუბლიკის საელჩოს მისიის ხელმძღვანელის მოადგილე ანკარაში დილანი უირაკონი. სტუმრებს შეხვედნენ: თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია, ვიცე-რექტორი, პროფესორი ხათუნა თოდაძე, უცხოელ სტუდენტთა განათლების დეპარტამენტის უფროსი, ასოცირებული პროფესორი დავით თოფურია, საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი დავით დელიბაშვილი და

უფროსის მოადგილე ირინა კაპუტივაძე. მისმა აღმატებულებამ, შრი-ლანკის ელჩმა, მადლობა გადაუხადა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პერსონალს შრი-ლანკელი სტუდენტების მაღალ დონეზე სწავლებისა და გულთბილი მასპინძლობისთვის. აღნიშნა, რომ შრი-ლანკის სახელმწიფოს მიზანია საქართველოსთან თანამშრომლობა სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის – განათლების სფეროში. ამავე დღეს სტუმრები შეხვედნენ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის შრი-ლანკელ სტუდენტებს, მათგან მოსმინეს ინფორმაცია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში სწავლის შესახებ და კმაყოფილებით აღნიშნეს, რომ საქართველოში ძალიან ნაყოფიერი ნლები გაატარეს.

**ბრნოს მაზარიკის უნივერსიტეტის ორთოპედიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორის, მარტინ რაჰკოს, ვიზიტი**

მიმდინარე წლის 14 დეკემბერს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს ეწვივნენ: მაზარიკის უნივერსიტეტის (ბრნო, ჩეხეთი) ორთოპედიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი მარტინ რაჰკო და მრავალპროფილანი სამედიცინო ცენტრის „ნიოვა“ კლინიკური დირექტორი, ნეიროქირურგი გოზა ჩუტკერაშვილი. სტუმრებს შეხვედნენ: თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია, ვიცე-რექტორები: პროფესორი ხათუნა თოდაძე, პროფესორი

ირმა ბერიაშვილი, ასოცირებული პროფესორი ირაკლი კობრიძე და თსსუ-ის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის გენერალური დირექტორი გიორგი აბესაძე.

განხილეს ურთიერთთანამშრომლობის პერსპექტივა. როგორც ასოცირებულმა პროფესორმა მარტინ რაჰკომ აღნიშნა, მათთვის საინტერესოა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტთან თანამშრომლობა, როგორც დიპლომირებული, ისე დიპლომისშემდგომი განათლების სფეროში.

**მსოფლიო ჩემპიონატი სტუდენტებს შორის საგოში**

2016 წლის 8-12 დეკემბერს, ქალაქ ნიქოზიაში (კვიპროსი) გაიმართა მსოფლიო ჩემპიონატი სტუდენტებს შორის საგოში. ლონისძიებაზე საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციის ვედიტა და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მხადრდაჭერი წარდგენილი იყო თსსუ-ის ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის მეშვეობით სემესტრის სტუდენტი დავით ნარიმანიძე, რომელმაც ლონისძიებაზე მესამე საბატიო ადგილი, ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.



თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი ულოცავს დავით ნარიმანიძეს საერთაშორისო ასპარეზზე მიღწეულ ამ მნიშვნელოვან წარმატებას!

**ახალი სახელოებითი სტიპენდიები – გამორჩეულად**

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის მეშვეობით სემესტრის წარჩინებული სტუდენტები – მედეა ჯელაძე და ანა აბაშიძე პროფესორ გიორგი ბოჭორიშვილის და ექიმ ბენედიქტე მალაქელიძის სახელობის სტიპენდიატები გახდნენ.

გადაწყვეტილება ცნობილი ქართველი ქირურგის, გიორგი ბოჭორიშვილის, ოჯახის წარმომადგენლებმა მიიღეს, კერძოდ, პროფესორმა გიორგი ბოჭორიშვილმა, ნულოვანი სტიპენდიის უროლოგიის ეროვნული ცენტრის წამყვანმა სპეციალისტმა, თსსუ-ის რამდენიმე წარმატებულ სტუდენტს შორის შეარჩია მომავალი სტიპენდიანი. აღსანიშნავია, რომ მედეა ქირურგობას აპირებს და, იმედია, იგი სასახელოდ გაივლის გზას დასახულ მიზანმდე. ანა აბაშიძე კი პრეპარატ – „კამელინი“ ავტორის, ექიმ ბენედიქტე მალაქელიძის, ოჯახის

წარმომადგენლებმა აირჩიეს იმ წარჩინებულ სტუდენტებს შორის, რომელთაც ყველაზე საუკეთესო შეფასება ჰქონდა იმურელოგიაში.

წინასახალწლოდ, მედიცინის ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე, ბატონებმა – გიორგი ბოჭორიშვილმა და შოთა მალაქელიძემ საზეიმო ვითარებაში გააკეთეს განაცხადი თავიანთი არჩევანის შესახებ და პირველ სტიპენდიატებს წარმატებულ მომავალი უსურვეს.

თსსუ-ის კანცელარმა, პროფესორმა ზურაბ ორჯონიკიძემ, თსსუ-ის ვიცე-რექტორებმა, პროფესორმა ხათუნა თოდაძემ და პროფესორმა რიმა ბერიაშვილმა, მედიცინის ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა თინათინ ჩიქვანიძემ, გამოხატეს მადლიერება სტიპენდიის დამაარსებლების მისამართით და წარმატებები უსურვეს წარჩინებულ სტუდენტებს.

**მიაქვსა ოფთალმო-ენდოკრინოლოგიის აქტუალურ თემაზე**

2016 წლის 23-27 ნოემბერს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ენდოკრინოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი დავით მტრეველი იმყოფებოდა ევროპის თირეოიდოლოგთა ასოციაციის გრევის ორბიტოპათიის კომიტეტის მიერ ორგანიზებულ მეათე სასწავლო კურსზე – „თვალბუდის სიმპოზიუმი, მიუნხენი 2016 – გაერთიანებული შეხვედრა“. სიმპოზიუმი მიძღვნა ოფთალმო-ენდოკრინოლოგიის ერთ-ერთ აქტუალურ თემას: „დიფუზური ტოქსიკური ჩიყვის დროს მხედველობის ორგანიზების სპეციფიკურ დაზიანებათა კლინიკა, მკურნალობა და პროფილაქტიკა“.

სიმპოზიუმის ორგანიზატორების მიერ სპიკერებად მონაწილე იყვნენ ენდოკრინოლოგები, ოფთალმოლოგები და ოფთალმო-ენდოკრინოლოგიის სფეროში მოღვაწე ქირურგები.

ლექციებისა და კლინიკური შემთხვევების ინტერაქტიული განხილვების გარდა, მნიშვნელოვანი იყო არაფორმალურ ვითარებაში ჩატარებული შეხვედრები სხვადასხვა ქვეყნის ენდოკრინოლოგებთან, ოფთალმოლოგებსა და ქირურგებთან, რაც უახლესი ინფორმაციის მიღებას და მის კლინიკურ პრაქტიკაში დანერგვას უწყობს ხელს.

**აგაფარი მეცნიერის სწავლის უკვადასაყოფად**

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ოველ ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის დირექტორმა, ასოცირებულმა პროფესორმა ნანა გორგასალიძემ. მან აღნიშნა, რომ 2016 წლის 4 დეკემბერს ცნობილ აგრონომს, ალექსი ჯორბენაძეს, დაბადებიდან 112 წელი შეუსრულდა. მის სახელს უკავშირდება ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის ეზოში 22 შექტარზე სამკურნალო მცენარეთა გაშენება, ასევე, სამკურნალო მცენარეთა მრავალსადაცელი სადგურის დაარსება, სადაც დღემდე მიმდინარეობს ბუნებრივად შეზღუდული რესურსების მქონე საკვლევი მცენარეების ინტროდუქცია და კულტურების, მცენარეთა ბიოლოგიური თავისებურებების შესწავლა, ზრდა-განვითარების ფენოლოგია, ბიომეტრია...

ალექსი ჯორბენაძეს 1969 წელს მიენიჭა საქართველოს დამსახურებული აგრონომის წოდება. მიღებული აქვს მიწურინის ვერცხლის მედალი, ოთხჯერ მონაწილეობდა მოსკოვის საკავშირო გამოცენებში. გამოქვეყნებული აქვს 32 სამედიცინო ნაშრომი, ერთი სახელმძღვანელო, რომლითაც სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტში (ახლანდელი აგარული უნივერსიტეტი) ასწავლიდნენ სტუდენტებს.

ალექსი ჯორბენაძე გაიხსენა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ოველ ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის უხუცესმა თანამშრომელმა, აკადემიკოსმა ეთერ ქემერტელიძემ. მან ისაუბრა მის პირადობასა და დაუღალავ სამედიცინო მოღვაწეობაზე. ალექსი ჯორბენაძის სამედიცინო სფეროში განუვლი დიდი წილი შეაფასა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორმა, პროფესორმა რიმა ბერიაშვილმა. ვარსკვლავის გახსნას ესწრებოდნენ ალექსი ჯორბენაძის შთამომავლები. მათ დიდი მადლიერება გამოხატეს ამაგდარი მეცნიერის ღვაწლის დაფასების გამო.

**გაღლოვის სიგელი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს**

ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულმა ცენტრმა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს, ნლების განმავლობაში მრავალი წარმატებული ლონისძიების აქტიური მხარდაჭერისა და თანამშრომლობისთვის, მადლობის სიგელი გადასცა.

ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის

**მადლობის სიგელი**

გადაეცემა

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს

მხარდაჭერისა და თანამშრომლობისთვის





# შობა-ახალ წელს გილორჯეთ!

მინდა გულითადად მოგილოცოთ შობა-ახალი წელი, გისურვოთ განვითარება, წინსვლა, ახალ-ახალი მიღწევები აკადემიურ, სამეცნიერო სფეროსა და პრაქტიკულ საქმიანობაში, ჯანმრთელობა და კეთილდღეობა!

ახალ წელს ვულოცავ ყველას – სტუდენტსა და პროფესორს, მკვლევარსა და ჯანდაცვის ყველა პროფესიონალს, ადმინისტრაციას, ჩვენს მრავალრიცხოვან გულშემოტივარსა და პარტნიორს, ვისაც წვლილი შეაქვს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წინსვლასა და განვითარებაში. ჩვენი უნივერსიტეტის წარმატება თითოეული ჩვენგანის მონაპოვარი და პირადი წარმატებაცაა, ჩვენი ერთობლივი, გუნდური მუშაობის შედეგია.

ცხადია, ახალი წელი ერთგვარი შეჯამების დროა. თუ გასულ წელს გადავავლებთ თვალს, ჩვენი მიღწევები კვლავაც გვაძლევს სიამაყის საფუძველს.

გასულ წელსაც სერიოზული წინსვლა გვქონდა. განვახორციელეთ არაერთი პროექტი, შევასრულეთ თქვენთვის მოცემული არაერთი პირობა. მარშან გაზაფხულზე გაიხსნა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკა, რომელიც გივი ყვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიურ კლინიკასა და საუნივერსიტეტო სტომატოლოგიურ კლინიკებთან ერთად, დიპლომადელი, დიპლომისშემდგომი და უწყვეტი საგანმანათლებლო პროგრამების თანამედროვეობის შესატყვისად განხორციელებას უზრუნველყოფს. მნიშვნელოვანია, რომ კლინიკა მუშაობს და ამართლებს იმ მოლოდინს, რაც სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს გვქონდა.

ჩვენს უნივერსიტეტში ხორციელდება პროგრესული გარდაქმნები, რომელიც საგრძნობი და თვალსაჩინოა.

ევროპის სამედიცინო განათლების ასოციაციის პრეზიდენტის, პროფესორ ტრუდი რობერტის, სიტყვები, როცა მან აღნიშნა, რომ „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში გატარებული რეფორმები რევოლუციურია სამედიცინო განათლებაში“, – უსაფუძვლოდ არ თქმულა. ჩვენი უნივერსიტეტი მიმზიდველია არაერთი ავტორიტეტული საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის. რამდენიმე თვის წინ ჩვენთან ჩამოვიდა ჩესტერის უნივერსიტეტის მედიცინის, სტომატოლოგიის და კლინიკური მეცნიერებების ფაკულტეტის, ჯანდაცვის და სოციალური დახმარების დეპარტამენტის პროფესორი ჯონ კილინგი. რა საამაყო იყო, როცა მან აღნიშნა: „ჩესტერის უნივერსიტეტის წარმომადგენლებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტში არსებული სწავლების ხარისხმა. ეს კარგი საფუძველია ჩვენი თანამშრომლობისთვის. ჩვენ ვსწავლობთ თქვენგან, თქვენ, იმედია, ჩვენგან ისწავლით“, – ეს სიტყვებიც იმ გარდაქმნებს მოჰყვა, რასაც ასე ერთგულად და წარმატებით ვახორციელებთ!

გარდაქმნების მიზანს წარმოადგენს ევროპული სტანდარტების შესაბამისი სამედიცინო განათლების ახალი მოდელის შემუშავება და დანერგვა. ჩვენ მომავალში კიდევ უფრო ცხადად შევიგრძნობთ ამ რევოლუციური გარდაქმნების შედეგს!

უღრმესი მადლობა ყველას, ვისაც ამ მიღწევებში წვლილი მიუძღვის!

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი მიმზიდველია არა მარტო ქვეყნის მასშტაბით, არამედ – მსოფლიოს 59 ქვეყნის ახალგაზრდებისთვისაც, რასაც ადასტურებს ჩვენთან უცხოელ სტუდენტთა სიმრავლე, რომელთა რიცხვმა უკვე 2000-ს გადააჭარბა.

ჩვენი პარტნიორია 100-ზე მეტი უნივერსიტეტი და კლინიკა 40-ზე მეტი ქვეყნიდან, სადაც ყოველწლიურად სტაჟირებას გადის რამდენიმე ასეული სტუდენტი და რეზიდენტი. უნივერსიტეტში წარმატებით ხორციელდება საერთაშორისო პროგრამები: მედიცინის ფაკულტეტზე, ემორის უნივერსიტეტთან ერთად – დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამა; საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტზე, პარიზის მენეჯმენტისა და აღსრულების აკადემიასთან ერთად – საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და მენეჯმენტის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები; ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის

ფაკულტეტზე, ავსტრიელ კოლეგებთან ერთად – სამაგისტრო პროგრამა, რეაბილიტაცია სპორტში; საქეთო საქმეში – ასევე, ქართულ-ავსტრიული საბაკალავრო პროგრამა.

ჩვენს უნივერსიტეტს ლექციების წასაკითხად სტუმრობენ აშშ-ის, ევროკავშირის ქვეყნების, დიდი ბრიტანეთის, თურქეთის და ისრაელის უნივერსიტეტების პროფესორები და წამყვანი სპეციალისტები.

სამედიცინო უნივერსიტეტში განხორციელდა კლინიკური უნარ-ჩვევების ცენტრის სრული მოდერნიზაცია, ცენტრი განთავსდა ახალ სივრცეში, რომელიც სრულად პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს. ცენტრის ბაზაზე, კვლავაც, კლინიკური უნარების ათვისებასთან ერთად, ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდები (OSCE) ტარდება.

ჩვენმა უნივერსიტეტმა 2016 წელს მეოთხედ მოიპოვა გამარჯვება ნომინაციაში – „საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და გამჭვირვალე საქმიანობა“.

განათლება ქვეყნის პრიორიტეტია! ჩვენი პირველი და უმნიშვნელოვანესი ამოცანა უნივერსიტეტის საგანმანათლებლო საქმიანობის სტანდარტების მუდმივი ამაღლების ხელშეწყობაა. უნივერსიტეტი მომავალშიც შეეცდება სტუდენტებს შეუქმნას ყველა საჭირო პირობა წარმატების მიღწევისთვის და შესაძლებლობის სრულად გამოვლენისთვის;

ახალგაზრდობა სიამაყის მიზეზს გვაძლევს. ვუსურვებ მათ ნაყოფიერად გამოეყენებინათ სტუდენტური წლები, რათა მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებად ჩამოყალიბდნენ და გაემართლებინათ ის იმედები, რასაც მათზე უნივერსიტეტი და მთლიანად, ქვეყანა და საზოგადოება ვამყარებთ!

ჩვენ ობიექტური და სერიოზული გამოწვევების წინაშე ვდგავართ, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, ნაბიჯ-ნაბიჯ, ინტელექტით, შრომით და, რაც მთავარია, ჩვენი უნივერსიტეტის და პროფესიის სიყვარულით, ერთად დავეძლევთ ყველა პრობლემას.

მომავალ წელს განსაკუთრებული ყურადღება კვლავ მიექცევა აკადემიური სწავლების ხარისხს; ყოველმხრივ ვეცდებით – გავაუმჯობესოთ სასწავლო გარემო, საინფორმაციო და სასწავლო ტექნოლოგია, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა; ხელს შევუწყობთ აკადემიური პერსონალის

პროფესიულ განვითარებას, განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა აკადემიურ პატიოსნებას, ლექციების ჩატარების ხარისხს, მცირე ჯგუფებში მუშაობის მეთოდოლოგიას. კვლავ დაინერგება სწავლებისა და შეფასების ახალი, თანამედროვე მეთოდები, რომლებიც, ფაქტების ცოდნის გარდა, სტუდენტთა კლინიკური ჩვევების ათვისებასა და შეფასებას უზრუნველყოფს. უნივერსიტეტი საკუთარ ინტელექტუალურ მიღწევებს ხელმისაწვდომს გახდის არა მარტო თავისი სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების, არამედ პაციენტების და ფართო საზოგადოებისთვისაც.

წავახალისებთ ინოვაციურობასა და შემოქმედებით უნარებს, კრეატიულობას; არსებობს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ღირებულება, რომლის გარეშეც ყველა სხვა პირობის შესრულება ძალიან გაგვიჭირდება – ეს გახლავთ: ურთიერთ-პატივისცემა და კეთილსინდისიერი თანამშრომლობა.

უნივერსიტეტი თავისი მისიის განსახორციელებლად მზად არის ითანამშრომლოს ყველა ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციასთან. ასევე, ქვეყნისა და საზოგადოების მოთხოვნილებების შესაბამისად, ჩვენი შესაძლებლობების ფარგლებში, მზად ვართ, განვახორციელოთ სხვადასხვა სახის საინფორმაციო, საკონსულტაციო, დიაგნოსტიკური, კვლევითი, სარეაბილიტაციო და სამკურნალო ღონისძიებები, მონაწილეობა მივიღოთ ყველა პროცესში, რომლის მიზანაც მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუმჯობესებაა.

ჩვენ გვაერთიანებს ლოზუნგი – „ტრადიციებით მომავლისაკენ“. სწორედ ამ ღირებულებებზე დაყრდნობით და დაუღალავი შრომით უნდა შევქმნათ ხვალინდელი დღე. მჯერა, ერთად უდიდეს წარმატებას მივაღწევთ!

**პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია**  
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი

**თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობა სამედიცინო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას, ადმინისტრაციულ და აკადემიურ პერსონალს, თითოეულ სტუდენტს, გილორჯეთ დაძვევებულ შობა-ახალ წელს!**  
**ჩვენთვის, სტუდენტებისთვის, წარმატებული და საინტერესო იყო განვლილი წელი; ვისურვებდით მომავალი – 2017 წელიც, ასევე, დატვირთული ყოფილიყო სიხალისით, დასაძახსოვრებელი დღეებით და მოვლენებით!**  
**ჩვენი დიდი ერთიანი ოჯახის თითოეულ წევრს სიკეთეს და წარმატებებს ვისურვებთ პირად წიხვრებდასა თუ საზოგადოებრივ საქმიანობაში!**  
**თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობა**





# თეატრალური ვისუფლება „ნილა“ - 2016

თბილისის მერიის კულტურულ ღონისძიებათა ცენტრის, აგრეთვე, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქალაქო სამსახურის, სპონსორობითა და ხელშეწყობით 2016 წლის 2 დეკემბერს გაიხსნა თბილისის მოყვარულ სტუდენტთა თეატრალური საერთაშორისო ფესტივალი „ნილა“, რომელსაც ყოველწლიურად თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წითელი ფარბაზი მასპინძლობს. პროექტის ფარგლებში, სხვადასხვა უნივერსიტეტის თეატრალურ დასს საშუალება ეძლევათ ფართო აუდიტორიას წარუდგინონ, მათ მიერ დადგმული სპექტაკლები. ფესტივალი მასშტაბურ ხასიათისაა, მასში მონაწილეობენ, როგორც საქართველოს, ასევე, უცხოეთის უნივერსიტეტების თეატრალური დასები. ფესტივალი პირველად 2012 წელს გაიმართა და მასში მონაწილეობა 6 დასმა მიიღო, თუმცა, სახელი მალევე გაითქვა და დღეს დიდი პოპულარობით გამოირჩევა. გამარჯვებულები გამოვლინდებიან 10 კატეგორიაში. წლებგანდელ კონკურსში მონაწილეობს 10 გუნდი, რომელთაგან 2 უცხოურია. მათ მიერ შესრულებულ სპექტაკლებს ჟიური აფასებს, რომელიც კომპეტენტური ჯგუფისგან შედგება. ჟიურის წევრები არიან: გოგი თოდაძე (რეჟისორი), ეკა მჭავანაძე (მსახიობი), ივანე ხუციშვილი (რეჟისორი), ნიკოლოზ წულუკიძე (თეატრმკვლევანი), სოფიო სიხარულიძე (მერიის კულტურული და თეატრალური ღონისძიებების მენე-

ჯერი), კახა მიქიაშვილი „თავისუფალი თეატრის მსახიობი“, თამუნა ნიკოლაძე „თავისუფალი თეატრის მსახიობი“, ანი ტყეშელაშვილი (მსახიობი), გიორგი ზანგური (პოეტა).  
ფესტივალი „ნილა“ 2016 წელს გახსნა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის თეატრალურმა დასმა „პიგამა“, სპექტაკლით – „მატარებელი“, რომლის რეჟისორი და ფესტივალის ერთ-ერთი ორგანიზატორია ნათია გუჯაბიძე. იგი აქტიურად მუშაობს სტუდენტებთან და დიდი წვლილი მიუძღვის თეატრის ისტორიის შექმნასა და ახალი ტალანტების აღმოჩენაში.  
პროექტის მიზანია უნივერსიტეტების სტუდენტთა წარმოჩენა, დაგროვილი გამოცდილების გაზიარება, სასცენო უნარ-ჩვევების განვითარება, სამსახიობო ტექნიკის დახვეწა, დასებს შორის პროფესიული და შემოქმედებითი ურთიერთობის ჩამოყალიბება, შემეცნებითი თვალსაზრისის გაღრმავება-გაფართოება, ხელოვნების პროპაგანდა, კარიერული წინსვლა, სტუდენტური ცხოვრების გამრავალფეროვნება და კომფორტული გარემოს შექმნა.  
დღესდღეობით, ფესტივალის მიმდინარეობას აშუქებს მასმედია, რაც სხვადასხვა უნივერსიტეტის ინტერესს აღრმავებს.

**ნათია კაკულია,**  
**სტომატოლოგიის ფაკულტეტის**  
**I სემესტრის სტუდენტი**

## WHY DO WE CHOOSE MEDICINE?



our hands and knowledge to help someone live a day longer, we value public health over the hours of sleep we get and over the number of meals we skip between classes. We choose medicine because we're willing to give up on the luxuries of life so that someone else can have a healthy life.

Medicine has been and continues to be one of the toughest fields of education, especially because it deals with people on a more intimate level than any other profession. In the hands of a doctor are lives at stake and one wrong move, one misdiagnosis, one wrong prescription can end a life. To one, this profession might look like walking into a trap, since the risks that come with it surely don't seem small.

So why do we choose medicine despite the hardships, despite the years of hard work and the insurmountable levels of continuous stress?

We choose medicine because we know knowledge can lead us to great places, some of them still unconquered, and in this thirst for knowledge we discover the many things; because perseverance is something we have in common and even when it gets tough and you're on the verge of breaking down or giving up, you hold on a little longer and that makes medical students strong willed and determined, which is a key feature of successful doctors as well. We choose medicine because we value the lives of people and we extend


amongst the many other fields of study because we are all still a little more fascinated about the human anatomy and its wonders a little more than the others. We want to know what could possibly go wrong in the masterpiece of a creation that humans are.

We choose medicine because we're passionate about life, because we believe that the deepest secrets lie in the arteries and veins and because we know that the closest to life that we can ever be is through the fingers of a practitioner and the mind of a doctor. We hold life above death, and maybe that's why we choose medicine. Because medicine isn't a decision we made overnight, it's a decision we've made for the rest of our lives, and one that we're glad to live with. We choose medicine for all this, because serving humanity is something we want to do.

We choose medicine because we know that truth resounds with what Albert Einstein proudly said, „Only a life lived for others is a life worthwhile“

**Zulaiha Zuhair,**  
**Faculty of Medicine**  
**4th year**

# პატარების გასასარად



თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის ორგანიზებით, სტუდენტებმა გივი ჟვანიას სახელობის პედაგოგიის აკადემიური კლინიკის პატარა პაციენტები მოინახულეს. სტუდენტებმა, რომელთა შორის უმრავლესობა პირველკურსელი იყო, საჩუქრები დაურიგეს და გაახალისეს პატარები.

კლინიკის სამედიცინო პერსონალი ყურადღებით და გულსხმიანებით შეხვდა სტუდენტებს, მათი რჩევების გათვალისწინებით ახალგაზრდებმა ბევრი ახალი და საჭირო ინფორმაცია მოიპოვეს პატარებთან დასახლოებლად და სამომავლოდ, პროფესიული თვალსაზრისითაც.

იმედია, პატარებიც დამახსოვრებენ ამ შეხვედრას, კეთილგანწყობილი იქნებიან სამედიცინო პერსონალის მიმართ, მალე გამოჯანმრთელდებიან და მომავალში ისინიც ყურადღებას გამოიჩინენ თანამოქალაქეებისადმი.

ჩვენთვის, როგორც თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის, პატარა პაციენტების ღიმილი დიდი საჩუქარი იყო. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის თვითმმართველობა უახლოეს მომავალში არაერთ საინტერესო ღონისძიებას გეგმავს.

**თამარ მამანუშვილი,**  
**სტომატოლოგიის ფაკულტეტის**  
**II სემესტრის სტუდენტი**



# „რა, სად, როდის?“

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ტრადიციულად დამკვიდრდა ინტელექტუალური ოლიმპიადა – „რა? სად? როდის?“ პროექტს საფუძველი ჩაეყარა 2014 წლის გაზაფხულზე, რომლის ორგანიზატორები იყვნენ პაატა ბურნაძე და მისი მეგობრები: აკაკი ივანიშვილი, გიორგი მიკუჩაძე და თაკო საგანელიძე, მათი შრომისა და ძალისხმევის შედეგად დაფინანსდა პროექტი, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესო იყო ხუთ დაფინანსებულ პროექტს შორის. საუკეთესო ინტელექტუალური გუნდის გამოსავლენად იგი წელსდღეობით ორჯერ ტარდება. ყოველ წელს, მისის თვებში, სტუდენტური დღეების ფარგლებში, არაერთი საერთაშორისო დონის ღონისძიება იმართება, მათ შორისაა ინტელექტუალური ტურნირი უნივერსიტეტის საერთაშორისო თიქსის ყველა უნივერსიტეტი მონაწილეობს. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ყოველ სეზონზე ჩატარებული თამაშების საშუალებით, ტურნირისთვის ირჩევა ექვსკაციანი გუნდი, რომელიც თსუ-ის სახელით



სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტი. პროექტი მიზნად ისახავს ახალბედა სტუდენტების ინტელექტუალურ პროგრესს, მოქმედ სტუდენტთა თვითრეალიზაციას, გამოცდილების მიღებას და შემდგომში სურსათის დასაცავი და ინტელექტუალური საზოგადოების ჩამოყალიბებას. სამედიცინო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა ძალისხმევას არ იშურებს ერთდროულად თაობის აღსაზრდელად. სამომავლოდ ორგანიზატორები ასაბამოვნო ცვლილებებსაც გეგმავენ. ისინი აპირებენ ბორდების ინტელექტუალური გუნდისთვის დაქვემდებარებას, ასევე, საუბარია იმაზეც, რომ უახლოეს მომავალში „რა? სად? როდის?“ ჩატარდეს უცხოეთში. ამით უცხოელ სტუდენტებსაც მიეცემა აქტიურობისა და დიდი გამოცდილების მიღების საშუალება.

**ბულიკო მურაჩაშვილი,**  
**ფარმაციის ფაკულტეტის I**  
**სემესტრის სტუდენტი**

# სტუდენტებმა შიდსთან ბრძოლის მსოფლიო დღე აღნიშნეს

პირველი დეკემბერი შიდსთან ბრძოლის საერთაშორისო დღეა. გულზე დამაგრებული წითელი ბაფთები სწორედ ამ ბრძოლის სიმბოლოს წარმოადგენს. სხვადასხვა ღონისძიებით აღინიშნა ეს მნიშვნელოვანი დღე.



ჩატარდა ღონისძიება, რომლის ორგანიზებაში მონაწილეობდნენ, როგორც თსუ-ის, ასევე, დავით ტვილიაძის სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტები. პირველი სასწავლო კორპუსის ცისფერი დარბაზში ჩატარდა აივ-ვირუსის სკრინინგი. ამავდროულად, სტუდენტებმა შეაფასეს კითხვარი აივ-ვირუსის ცნობადობასთან დაკავშირებით, შემდეგ კი ღონისძიებამ თსუ-ის ადმინისტრაციულ კორპუსში გადაინაცვალა და კონფერენციით გაგრძელდა, რომელზეც IF MSA-ს და EMSA-ს წევრები წარსდგნენ. უნდა ითქვას, რომ ახალგაზრდებმა საინტერესო და ინოვაციური მოხსენებები წარუდგინეს საზოგადოებას. კონფერენციის



დასრულებას შემდეგ სტუდენტებს სერტიფიკატები გადაეცათ. იმედი გამოიქვამს, რომ მსგავსი ღონისძიებები სამომავლოდაც გაიმართება.

**მარიამ ბაჩიაშვილი,**  
**მედიცინის ფაკულტეტის V სემესტრის სტუდენტი**

გვერდით მოამზადა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის V სემესტრის სტუდენტმა, სტუდენტური თვითმმართველობის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელმა ნინო ზვიზვიაძემ



# „ჭიგია“ ოთხი პრემიის მფლობელი გახდა

დეკემბრის თვე ჩვენს უნივერსიტეტში, ტრადიციულად, საინტერესო ღონისძიებებით დატვირთულია. განსაკუთრებული მოლოდინით ხვდებიან ამ დროს თეატრის მოყვარულები – ყოველი წლის დეკემბერში ხომ „მოყვარულ სტუდენტურ თეატრთა ასოციაციის“ ინიციატივით დაარსებული თეატრალური ფესტივალი „ნილაბი“ ტარდება, სადაც როგორც საქართველოს, ისე სხვა ქვეყნების უნივერსიტეტების თეატრალური

სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა ზურაბ ვადაჭკორიამ.

დასახელდა კომპეტენტური ჟიური: რეჟისორი გოგი თოდაძე, თეატრმცოდნე – ნიკოლოზ წულუკიძე, რეჟისორი – ივანე ხუციშვილი, მსახიობები: ეკა მჭავანაძე, თამუნა ნიკოლაძე, ანი ტყეშელაშვილი, კახა მიქიაშვილი, გიორგი ზანგური. ფესტივალი გაიხსნა თსსუ-ის თეატრ „ჭიგიას“ სპექტაკლით – „მატარებელი“. ფელისის მოთხრობების მიხედვით დადგმულ ფსიქოლოგიურ დრამაში სიუჟეტი საინტერესოდ ვითარდება. დანაშაულის გამო შეცვლილი ცხოვრება, დაკარგული სიყვარული, გაუნღებელი ტკივილი, სინდისის ქენჯნა და სამართალი, რომელიც უნდა აღსრულდეს, – ასეთი იყო მაღალი დონის სცენურ წარმოდგენაში „გაბნეული“ რეჟისორის აქცენტები; „ჭიგიას“ არაპროფესიონალმა მსახიობებმა, თსსუ-ის სტუდენტებმა კი, მართლაც დაუეინყარი სახეები შექმნეს.

პრემიების შემდეგ გაეცა საუბრით სპექტაკლის რეჟისორს და მსახიობებს.

ნათია გუჯაბიძე, თეატრ „ჭიგიას“ რეჟისორი, თსსუ-ის პისტოლოგიის, ციტოლოგიის და ემბრიოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი:



დასები სპექტაკლებით წარდგებიან მაცურებლის წინაშე. წელს ფესტივალის საიუბილეო, მეხუთე, წელი აღინიშნა. მასპინძელი, ტრადიციულად, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი გახლდათ.

ალანინიშავია, რომ ფესტივალი წლიდან წლამდე ვითარდება, მონაწილეები იზრდებიან პროფესიული თვალსაზრისით, ემატება ახალი დასები სხვადასხვა უნივერსიტეტიდან და ყოველწლიურად ახალ-ახალი აღმოჩენებით და წარმატებებით ახარებენ მაცურებელს.



წელს ფესტივალში მონაწილეობდნენ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის, ისრაელის სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტის, თეირანის სახელმწიფო უნივერსიტეტის, კავკასიის ბიზნეს სკოლის თეატრალური დასები.

ფესტივალი საზეიმოდ გაიხსნა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წითელ დარბაზში. უღერდა ფესტივალის პიონი და ისმოდა მაცურებლის ოვაციები.



ფესტივალის მონაწილეებს მიესალმა და წარმატებები უსურვა თბილისის სახელმწიფო დიდი ხანი ვიჭირობდი ამ სპექტაკლებზე, იმაზე, შეეჭიდებოდი თუ არა კლასიკას. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენმა სტუდენტებმა, დასის მსახიობებმა, გადამწყვეტი როლი შეასრულეს ამ იდეის განხორციელებაში, რადგან იმედი მქონდა, რომ ისინი თავს გაართმევდნენ ამ რთულ მისიას. სპექტაკლის პერსონაჟი ერთგან ამბობს: „ყველას თავისი ცხოვრების მატარებელი აქვს, რომელიც ხან რომელ სადგურზე ჩერდება და ხან – რომელზე. ზოგჯერ გინდა, რომ დიდხანს გაჩერდე, დატყებ ამ სადგურით, ის კი ისე სწრაფად მიეძინება, რომ ვერ ენევი; ზოგ სადგურზე კი სული გეხუთება, გინდა მალე დატოვო, მაგრამ გახსენდება, რომ შენი ცხოვრების მართვა არ შეგიძლია. მთავარი კი ისაა, იცოდე, სადა შენი ბოლო გაჩერება“, – მგონი დასაფიქრებელი სიტყვებია. სპექტაკლით კი მინდოდა მეტყვა, რომ შეცდომები ყველას მოგვდის, მთავარია, ვინ როგორ გავიარებთ ამას და როგორ შევძლებთ მის გამოსყიდვას... მაღლობა ჩემს „ჭიგიას“, რომ „მატარებელი“ ვიცხოვრებ

ერთი წელი და ყველა სირთულე ერთად გავი-აზრეთ და გადავლახეთ; მაღლობა უნივერსიტეტის რექტორს, ბატონ ზურაბ ვადაჭკორიას, კანცლერს, ბატონ ზურაბ ორჯონიკიძეს, ასევე, ბატონ ბადრი მაჭავარიანს; აჩიკო სოლოლაშვილს, რომელიც სპექტაკლის ქორეოგრაფი გახლდათ და „ჭიგიას“ ყველა გულშემატკივარს სიყვარულისა და თანადგომისთვის...

ალბათ სპექტაკლმა ცოტა ჩაგვაფიქრა და დაგვანაღვლიანა... იქნებ კომედიის დროა?... ახალ პრემიერაზე ვინცებ ფიქრს...

ბექა ხუციშვილი, „ჭიგიას“ მსახიობი, თსსუ-ის ჯანდაცვის ფაკულტეტის სტუდენტი:



რთულ და საინტერესო როლზე მომინა მუშაობა „მატარებელში“. ორიგინალური გადამწყვეტა იყო, რომ რამდენიმე სახე თუ ხასიათი გაერთიანდა და მაცურებელსაც, შეხედულებებისამებრ, შეეძლო მასში დაენახა: სიკვდილი, ეშმაკი, სინდისი თუ სამართალი. ზოგმა ტომასის მეორე „მედ“ აღიქვა... ბედნიერი ვიქნები, თუ კარგად გადმოვეცი სათქმელი და როლმა მაცურებელზე შთაბეჭდილება მოახდინა...

შთაბეჭდილება რომ მართლაც მოახდინეს მაცურებელსა და ჟიურებზე, ეს ფესტივალის შემდეგმაც დაადასტურა: „ჭიგიაში“ ოთხ ნომინაციაში გაიმარჯვა: მამაკაცის მთავარი როლის



ჯერ კიდევ უნივერსიტეტში ჩაბარებამდე ვიცოდი „ჭიგიას“ შესახებ, ნანახი მქონდა სპექტაკლი „ომბანა“, რომელმაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. ასე რომ, სტუდენტობის პირველივე წლიდან უკვე „ჭიგიას“ მსახიობი ვარ და არაერთ სპექტაკლშიც ვითამაშე. თამამად ვიტყვი, რომ ამ როლზე მუშაობა გაცილებით რთული იყო, ვიდრე ნებისმიერ სხვაზე, ჟანრის თავისებურების თუ გმირის წინააღმდეგობრივი ბუნების გათვალისწინებით. საინტერესოა, რომ ტომასი, დიდი ცოდვის მიუხედავად, კარგი მამა, მეუღლე, მეგობარი და ადამიანია. და ვინაიდან მასში ყველაზე მეტი შრომა ჩავედ, ყველაზე მეტად შემაყვარა თავი. გამიხარდება, თუ მაცურებელი მოიწონებს როლს და გმირის გაგებაც არ გაუჭირდება...

საუკეთესო შესრულებისთვის – ბექა ხუციშვილი; მამაკაცის დრამატული როლის საუკეთესო შესრულებისთვის – ირაკლი ბერიძე; მამაკაცის ეპიზოდური როლის საუკეთესო შესრულებისთვის – ზურა მახარაშვილი. ხოლო ფესტივალ „ნილაბი 2016“-ის მონაწილეთა რჩეული ზურა ყიფშიძე გახდა.

სასიხარულო და საამაყო იყო ჩვენი უნივერსიტეტის დასის მიმართ გამოთქმული შთაბეჭდილებები და მოსაზრებები: „მაღალი დონის წარმოდგენა“, „პრესინგულე რეჟისორული ნამუშევარი“, „არაპროფესიონალი მსახიობებების მაღალპროფესიულ დონეზე შესრულება“, – ასე შეფასდა ჟიურის წარმომადგენელთა მიერ „ჭიგიას“ დასამასსოვრებელი წარმოდგენა.

ფულოცავთ „ჭიგიას“ კიდევ ერთ წარმატებას, ბედნიერ შობა-ახალწელს ვუსურვებთ და გვჯერა, კვლავ არაერთი პრემიით გაახარებს თავყვანისმცემლებს...

ნათო გოლქვაძე



# საშობაო სიხუტობა

წინასაშობაო განწყობა ნელ-ნელა ეუფლება ქალაქს. ახლა კეთილი სურვილების, ქველმოქმედების და საჩუქრების დროა. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი არც ამჯერად ღალატობს ტრადიციას და არ ივინყებს მათ, ვისაც ყველაზე მეტად სჭირდება და ახარებს ჩვენი თანადგომა.



2016 წლის 26 დეკემბერს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საინტეგრაციო ცენტრის "რეას" ბენეფიციარებს უმასპინძლეს.



სტუმრებს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა ზურაბ ვადაჭკორიამ მიმართა. მან აღნიშნა, რომ უკვე მესამე წელია



უნივერსიტეტი "რეას" მხარდამჭერია. „რეას“ ბენეფიციარებთან შეხვედრა ყოველთვის დიდ ემოციურ ფონზე მიმდინარეობს, განსაკუთრებით კი წინასაშობაოდ, როცა სტუმრებმა მთელი გულით მოაზაბდეს ორი მუსიკალური ნომერი მეგობრების პატივსაცემად და აუდიტორიის წინაშე შეასრულეს. შეხვედრაზე, რომელიც ძალიან თბილ გარემოში ჩატარდა, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სპორტისა და ხელოვნების ცენტრის ფოლკლორული ანსამბლის ვაჟთა გუნდმა და ანსამბლმა „დეკამ“ შეასრულეს სიმღერები, რითაც „რეას“ ბენეფიციარებს სიხარული მიანიჭეს. „ჩვენ ერთმანეთს ვჭირდებით“, – ეს ფრაზა შეხვედრისას რამდენჯერმე გაიმეორეს. შეხვედრაზე მოწვეულ „რეას“ ბენეფიციარებს სამედიცინო უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა დამდეგი შობა-ახალი წელი მიულოცეს და საახალწლო ტკბილეული გადასცეს.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ადმინისტრაციული კორპუსის ფოიეში მოეწყო მათი ხელნაკეთი ნივთების საშობაო გამოფენა-გაყიდვა. თითოეული ნივთი დიდი სიყვარულით

და მონდომებით იყო შესრულებული. ამ თიხის ნაკეთობებთან და ნაძვის ხის სათამაშოებთან ერთად თითოეულმა შემომწირველმა შინ გაიყოლა ის გულწრფელი ემოცია, რომელიც ასე ძვირფასი და იშვიათია ყველასთვის.

კავშირ „რეას“ გამგეობის თავმჯდომარემ ელისო რეხვიაშვილმა დიდი მადლიერება გამოხატა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისადმი და აღნიშნა, რომ ეს ერთ-ერთი ყველაზე სტაბილური და მრავლისმომცემი პარტნიორობაა, რომელიც დადებითად აისახება როგორც „რეას“ მომავალზე, ისე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტების სამომავლო საქმიანობაზე.

მრავალ შობა-ახალ წელს შეხვდით ბედნიერად, მეგობრებო!



# ტრადიციად ქცეული საქველმოქმედო ოპერაციები



წინასაშობაოდ პაციენტებისთვის ნამდვილ საჩუქრად იქცა მსოფლიოში ცნობილი ქირურგების ვიზიტი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის გივი ფვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიურ კლინიკაში. უკვე 16 წელია, პროფესორები ისრაელიდან ჩამოდიან საქართველოში, კერძოდ, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის გივი ფვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიურ კლინიკაში და სრულიად უანგაროდ ატარებენ ძალიან რთულ ოპერაციებს. პატარა პაციენტები და მათი მშობლები დიდი მოლოდინითა და სიხარულით ხვდებიან ამ ჰუმანიტარულ აქციას. წლებგანდელი დეკემბერიც არ არის გამონაკლისი. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის გივი ფვანიას სახელობის

პედიატრიის აკადემიურ კლინიკაში, ბავშვთა ქირურგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელის, ასოცირებული პროფესორის, ავთანდილ კუტუბიძის, მიწვევით, იმყოფებიან ცნობილი ქირურგები: პროფესორი იცხაკ ვინოგრადი (თელ-ავივის სოურასკის სამედიცინო ცენტრი, თელ-ავივი, ისრაელი) და პროფესორი არკადი ვაჩიანი (რამბამის სახელმწიფო სამედიცინო ცენტრი, ისრაელი). ვიზიტის ფარგლებში ჩატარდა 10 უნიკალური ოპერაცია, მათ შორის ლაპაროსკოპიული მეთოდითაც. იმედია, პატარა პაციენტები მხიარულად და ბედნიერად შეხვდებიან შობასა და ახალ წელს! თსსუ-ის გივი ფვანიას სახელობის პედიატრიული კლინიკა ყველას ულოცავს ახალ 2017 წელს!

# თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის N1 სტომატოლოგიურ კლინიკაში წინასაშობაო აქცია გაიმართა



წინასაშობაოდ, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის N1 სტომატოლოგიურ კლინიკაში განსაკუთრებული განწყობა შეიქმნა. კლინიკის ხელმძღვანელობისა და სამედიცინო პერსონალის გადანყვევებით, საახალწლო საჩუქარი გაუკეთდათ პატარებს: ჩატარდა ჰუმანიტარული აქცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღო თბილისის მე-200 სკოლა-პანსიონის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე თხოთმეცმა მოსწავლემ.

განსაკუთრებული საჭიროების მქონე პაციენტები საკმაოდ რთული კონტინგენტია სტომატოლოგიური მანიპულაციების ჩასატარებლად. მიუხედავად ამისა, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის N1 სტომატოლოგიური კლინიკის პროფესორმა ექიმებმა შეძლეს და არა მარტო გაუმართივეს მოზარდებს ექიმ-სტომატოლოგთან ვიზიტი, არამედ ერთი დასამახსოვრებელი, ბედნიერი დღეც აჩუქეს მათ.

აქციის ფარგლებში მოზარდებს ჩაუტარდათ პირის ღრუს სანაცია, მიეცათ რჩევა-დარიგებები პირის ღრუს ჰიგიენასთან დაკავშირებით. რაც მთავარია, ეს ყველაფერი ნამდვილი ზეიმის ელფერს ატარებდა. მათ გადაეცათ სიმბოლური საჩუქრებიც. პატარა პაციენტები გულწრფელ სიხარულს არ მალავდნენ.

თბილისის მე-200 სკოლა-პანსიონის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოზარდების მშობლებმა და სკოლა-პანსიონის ადმინისტრაციამ მადლობა გადაუხადა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის N1 სტომატოლოგიურ კლინიკას უანგარო სიკეთისა და გულისხმიერებისთვის.



### თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი ნიმე ჯავახიშვილის მედლით დაჯილდოვდა



2016 წლის 21 დეკემბერს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტმა დაარსებიდან 70 წლის იუბილე აღნიშნა. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარებულ საზეიმო სხდომაზე, მორფოლოგიის ინსტიტუტის წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისთვის, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი ნინო ჯავახიშვილის მედლით დაჯილდოვდა. ცნობილი მეცნიერი ნინო ჯავახიშვილი, რომლის სახელობის მედლითაც თბილისის



სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი დაჯილდოვდა, დაიბადა 1914 წელს. დაამთავრა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი 1935 წელს. 1946 წლიდან მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ა. ნათიშვილის სახელობის ექსპერიმენტალური მორფოლოგიის ინსტიტუტში სხვადასხვა თანამდებობაზე. 1959-2006 წწ. იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ალ. ნათიშვილის სახელობის ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი. 2006 წლიდან იყო ამავე ინსტიტუტის საპატიო დირექტორი. მისი სამეცნიერო გამოკვლევები მიეძღვნა გულ-სისხლძარღვთა და პერიფერიული ნერვული სისტემის მორფოლოგიასა და ექსპერიმენტული მედიცინის სხვადასხვა საკითხს. მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი (1949), პროფესორი (1953), აკადემიკოსი ნ. ჯავახიშვილი არის 275 სამეცნიერო შრომისა და 7 მონოგრაფიის ავტორი. 43 ნაშრომი გამოქვეყნებულია უცხო ენებზე. ნინო ჯავახიშვილი გარდაიცვალა 2012 წელს.

### საინტერესო

## ს ა ი ნ ტ ი რ ე ს ო ტ უ რ ნ ი რ ი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ღვანდოსილი ფეხბურთელების დაფასება ტრადიციად იქცა. ტურნირების ჩატარების სიუხვით, თსსუ გამორჩეული ლიდერია უმაღლეს სასწავლებლებს შორის. ტურნირები ტარდება უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელშეწყობით, სპორტისა და ხელოვნების




ცენტრის (დირექტორი - ზ. ფხალაძე, ფეხბურთელთა ნაკრების მწვრთნელი - ვ. ბაქანიძე, სტუდენტური თვითმმართველობის სპორტული დეპარტამენტის ხელმძღვანელი - ს. ერგემლიძე) კოლექტივის დიდი შრომის შედეგად ერთ-ერთი ასეთი ტურნირი მინი-ფეხბურთში მიქსტურ სახელოვანი და გამოჩენილი ქართველი ფეხბურთელის, დავით ყიფიანის, დაბადებიდან 65 წლისთავს. ოქტომბერ-ნოემბერში ტურნირში მონაწილეობის სურვილი გამოთქვა 10-მა გუნდმა. გუნდები ორ ქვეჯგუფში ხუთ-ხუთ გუნდად გადანაწილდა. პირველ-მეორე ადგილზე გასული გუნდები ნახევარფინალში გავიდნენ: I - ერავი-

ბარსა - 5:4; II - მედიცინა-სიტი - 8:4; III საპროზო ადგილი დაიკავა „ბარსა“. ფინალი საინტერესოდ და სასიამოვნო ორთაბრძოლით წარიმართა. „ერავილები“ გამორჩეულდნენ მოძრაობებით და კარში ხშირი დარტყმებით, ხოლო - „მედიცინის“ გუნდი - პრეზენტული თამაშით და მოკლე გადაცემებით. ბოლო წუთებში დაიხაზა ფინალი და საბოლოო შედეგით - 4:2 - გაიმარჯვა „მედიცინის“ გუნდმა. გუნდები დაჯილდოვდნენ თასებით, მედლებით, სიგელებით. დასახელდნენ გამორჩეული ფეხბურთელები; პრიზები შემდეგნაირად გადანაწილდა: საუკეთესო მეკარე - ლუკა გვენტაძე (მედიცინის ფაკულტეტი), ტექნიკური ფეხბურთელი - აშქედ ენსაიფ - ერავი (უცხოენოვანი მედიცინის ფაკულტეტი), ბომბარდირი - 12 გატანილი ბურთით - ავთანდილ ჩაღლეიშვილი (მედიცინის ფაკულტეტი); ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელად დასახელდა იოსებ გიოშვილი (ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ფაკულტეტი). შეირჩა გამორჩეული მონაცემების მქონე სტუდენტები, რომლებიც მოსამზადებელ ჯგუფს შეავსებენ და ნაკრები გუნდის შემადგენლობაში დაიბრუნდებიან ადგილს. განსაკუთრებული ყურადღება პირველკურსელებისადმი მიმართულია, მთავარია მათი სურვილი და მონდომება. ფინალს დაესწრნენ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები. **პასტაზა ბაქანიძე, თსსუ-ის სპორტისა და ხელოვნების ცენტრის უახლოესი ნაკრები გუნდის მწვრთნელი**

## სასიამოვნო სიურპრიზი

სამედიცინო ლიტერატურას სასიამოვნო სიურპრიზის სახით ახალი წიგნი შეემატა - ცნობილი პროფესორი, ფსიქიატრი თეიმურაზ სილაგაძე მკითხველს ამჯერად სახალისო სტილით შედგენილ ნაშრომს - „ფსიქოფარმაკოლოგია - ხუმრობით და სერიოზულად“ - სთავაზობს. წიგნში ავტორის მიერ ორიგინალურად თავმოყრილი და იუმორისტული თხრობითი სტილითაა გადმოცემული მის მიერ შეთხზული 14 ისტორია, სადაც პერსონაჟების ნაცვლად, ფიგურანტებად გვევლინებიან ფსიქოფარმაკოლოგიაში უცხოელების სხვადასხვა პრეპარატები. წიგნში აღწერილი თითოეული შემთხვევა და მასში მოცემული ფრაგმენტები მხატვრული ენით უკავშირდება პრეპარატების გარკვეულ ჯგუფს, ან კონკრეტულ პრეპარატს. ბუნებრივია, რომ წიგნი გათვლილია სამედიცინო დარგის სპეციალისტებზე და სტუდენტებზე, რომელთაც შესაბამისი ცოდნა გააჩნიათ ბაზისურ ფარმაკოლოგიაში და ფსიქოფარმაკოლოგიაში, თუმცა, უნდა ითქვას, რომ იგი დარგში შედარებით გაუთვითცნობიერებელ მკითხველსაც დაინტერესებს, რათა შესაბამისი ინფორმაცია შეაგროვოს ალერგიული შემთხვევების სწორი ინტერპრეტაციისთვის. ნაშრომის ძირითად ღირებულებად უნდა ჩათვალოს ის ფაქტი, რომ პროფესორი თ. სილაგაძე ყოველგვარი „ძალდატანების“ გარეშე აიძულებს მკითხველს (ძირითადად სტუდენტს), რათა მან მოყვანილი ცასე-ების მეშვეობით გაიღრმავოს ცოდნა ფსიქოფარმაკოლოგიაში, რაც შესწავლის პროცესს უფრო მიმზიდველსა



ლითიუმის კარბონატთან ერთად, ყურადღება გამახვილებულია ანტიეპილეფსიურ პრეპარატზე - „კარბამაზეპინზე“, რომელსაც, ასევე, გააჩნია ამ პათოლოგიის დროს მოქმედების მაღალი პოტენციალი. წიგნში ხაზგასმულია არის ალერგიული ანტიბიოტიკური საშუალებების - „დაიზეპამის“ მოქმედების ეფექტი და ორიგინალური პასაჟი მოცემული კოფეინთან მიმართებაში, რაც



და სახალისოს გახდის. ნაშრომში მხატვრული ენით, მეტად ორიგინალურად არის ინტერპრეტებული სხვადასხვა ფსიქოფარმაკოლოგიური ჯგუფის წარმომადგენლების სპეციფიკური ეფექტები ფსიქიატრიულ პათოლოგიებთან მიმართებაში, როგორცაა: ნეიროლეფსური ტიპური და ატიპური საშუალებები, ისევე, როგორც ადვილად აღსაქმელად არის გადმოცემული მათი მოქმედების ძირითადი მექანიზმები და შესაძლო გვერდითი მოვლენები. ამავე დროს, ავტორი გვერდს არ უვლის დღევანდლობის საჭირობო საკითხებს, როგორცაა: დეპრესია და ნამალთა ბოროტი მოხმარება. იგი მეტად დიპლომატიურად, ყოველგვარი ცინიზმის გარეშე, აქცენტს აკეთებს ნამალთადამოკიდებულების საკითხებთან მიმართებაში, რათა ახალგაზრდა თაობის ყურადღება გამახვილოს ამ მსოფლიო სენის ირგვლივ, რომლის ზედრითი წილიც საქართველოს სინამდვილეში, სამწუხაროდ, მეტად სოლიდურია, განსაკუთრებით კულტურული წესით დამზადებულ პრეპარატებთან მიმართებაში. მოყვანილ სიუჟეტებში ავტორის მიერ „გაცოცხლებულ“ ფიგურანტებს შორის დიალოგები მარტივი, გასაგები ენით არის გადმოცემული, რაც მკითხველისათვის მეტად კომფორტულია ნაკითხულის ადვილად აღქმის თვალსაზრისით. ამასთან ერთად, პროფესორი თ. სილაგაძე ყურადღებას უთმობს, ასევე, პრეპარატების ერთი ჯგუფის მიერ გამოწვეული გვერდითი მოვლენების (მაგ., ნეიროლეფსურებით ინიცირებული პარკინსონიზმის სინდრომის) კორექციის საკითხებს, რაც, სავარაუდოდ, სტუდენტს ძალაუვნებურად აიძულებს, მიუბრუნდეს ამ საშუალებების მოქმედების მექანიზმს. წიგნში, ასევე, მეტად სახალისოდ არის აღწერილი დეპრესიული მდგომარეობები და სხვადასხვა ჯგუფის ანტიდეპრესანტის მოქმედების თავისებურებები. ბიპოლარული დარღვევების დროს,

მკითხველს ქართული ლიტერატურის სათავეებთან აგზავნის. ავტორს ნაშრომში ისტორიული წიაღ-სვლაც აქვს გამოყენებული, რაც, ცოდნის შექმნასთან ერთად, მკითხველისათვის დამატებითი ინფორმაციის მიღების საშინდარია. მეტად ორიგინალურად არის გადმოცემული პრეპარატ „მემანტინტთან“ დაკავშირებული სიუჟეტი, რომელიც ალცჰაიმერის დაავადებასთან არის ასოცირებული. საინტერესოა, რომ ავტორს, ასევე, ყურადღება აქვს გამახვილებული დღევანდელ ცირკადულ რითმებზე სიუჟეტში - „მელიტრონიკა“, რასაც ქრონოფარმაკოლოგიური თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ავტორს იუმორი არ ღალატობს „პლაცებოსთან“ დაკავშირებულ სიუჟეტში, რაც, ვფიქრობთ, გამაფრთხილებელ სიგნალად უნდა იქნას აღქმული უეფექტო „კომპრომეტირებული პრეპარატებისათვის“. ნაშრომის „ენდშპილში“ ავტორს გადმოცემული აქვს სიუჟეტის სახით წამლის, კერძოდ, სულფაზინის „ბედი“, რითაც ხაზს უსვამს, რომ ადამიანის მსგავსად, წამლსაც გააჩნია საზოგადოებრივი აზრიდან გამომდინარე აღზევების, დისკრედიტაციის, თაროზე შეჩერების, ზოგჯერ კი რეანიმაციის პერიოდები. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ თ. სილაგაძის ნაშრომი მაღალპროფესიული, სახალისო სტილითაა შესრულებული და, იმედა, სტუდენტებისთვის ფსიქოფარმაკოლოგიის შესწავლის პროცესში მეტად ღირებულ კომპლემენტარულ როლს შეასრულებს ფარმაკოლოგიის ამ რთული ფრაგმენტის უკეთ ათვისების თვალთახედვით. **პროფესორი ნიკოლოზ გონაპაძე, თსსუ-ის სამედიცინო ფარმაკოლოგიის მიმართულების სამედიცინო ფარმაკოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი**



# ს ი ქ ი ლ ი თ მ კ უ რ ნ ა ლ ი

ალორძინების ეპოქის დიდი მწერალი და მოაზროვნე, ფრანსუა რაბლე, ცნობილი „გარგანტუა და პანტაგრუელის“ ავტორი, საინტერესო და მრავალმხრივ განათლებული ადამიანი გახლდათ. ცნობილია, რომ ჯერ კიდევ სრულად ახალგაზრდა ბერად აღიკვეცა. გარდა იმისა, რომ ეს მამამისის სურვილიც იყო, მონასტერი მამის საგანმანათლებლო კერის ფუნქციას ასრულებდა და რაბლეს შესაძლებლობა ჰქონდა დღისმეტყველებასთან ერთად შეესწავლა სხვადასხვა ენა; აქ დაინტერესდა იგი მედიცინით და ასტრონომიით, შეიძინა გავლენიანი ნაცნობობა. ბენედიქტური სააბატოს ეპისკოპოს ფოფრუა დე ეტისაკთან მეგობრობამ ის დაახლოვა საფრანგეთის ელიტარულ საზოგადოებასთან და საშუალება მისცა ემოგზაურა, რამაც მისი თვალსაზრისი უფრო გააფართოვა. ამ პერიოდში რაბლე ბევრს მუშაობდა ფრანგი კლასიკოსების თარგმანზე, სწავლობდა იეროის, ლათინურს, ესპანურს, ინგლისურს; გაიტაცა ზუსტმა მეცნიერებებმა, რამაც მიიყვანა მედიცინით დაინტერესებამდე.

მონასტრის თვითნებურად დატოვების შემდეგ იწყება ცხოვრებასთან ჭიდილი, სწრაფვა ცოდნის გაღრმავებისკენ და მოგზაურობა (სწორედ იგივე მარშრუტით ის შემდეგ „გარგანტუის“ პანტაგრუელს). 1530 წელს რაბლე გახდა მონაპოვით უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის მსმენელი; მალე მიიღო ბაკალავრის სამეცნიერო წოდება. უნივერსიტეტში 2 წელი დაჰყო. 1532 წლიდან ის გადადის ლიონში, სადაც მუშაობას იწყებს ჰოსპიტლის ექიმად; ამასთან, რაბლე გულდასმით

სწავლობს ცნობილი ექიმების წიგნებს ბერძნულ, არაბულ და ლათინურ ენებზე. საექიმო საქმიანობა არაფრით აბრკოლებდა მის შემოქმედებით აქტივობას და პირიქით – მედიცინის სფეროში საქმიანობამ მოუტანა არანაკლები დიდება, ვიდრე მისმა ცნობილმა წიგნებმა. პრაქტიკული მუშაობის საგანმანათლებლოსთან შეთავსების კვალდაკვალ რაბლე თარგმნის სერიოზულ ნაშრომებს მედიცინაში, არქეოლოგიაში და იურისპრუდენციაში. აღსანიშნავია მისი თარგმანები მედიცინის ისეთი კორიფეების ნაშრომებისა, როგორებიც იყვნენ ჰიპოკრატე და გალენი. 1532 წელს რაბლე აქვეყნებს ჰიპოკრატეს „აფორიზმებს“, სადაც ორიგინალთან ერთად იბეჭდება ლათინური ტექსტიც. ექიმები კმაყოფილებას გამოხატავენ: ბოლოს და ბოლოს შესაძლებლობა აქვთ პროფესიონალის მიერ შედგენილი ტექსტით იხელმძღვანელონ! ამავე წელს გამოიცა პირველი ნაწილი ნაწარმოებისა, რომელმაც უკვედავყო რაბლეს სახელი. წიგნი ავტორი იმ დროისთვის ზედმეტად თამამ აზრებს გამოთქვამდა, განსაკუთრებით – რელიგიური თვალსაზრისით. რომანის ფაბულა ძველ-ფრანგულ თქმულებას ეფუძნებოდა კეთილ გოლიათ გარგანტუაზე, სადაც სიტუაციები, მოქმედებები ისეა აწყობილი, რომ მკითხველს ან გულიანად აცინებს, ან აღაშფოთებს. გასაკვირი არაა, რომ სორბონის უნივერსიტეტში აღფრთოვანებული არ დადრჩენილან რომანში გაუღრმავებული აზრებით თუ მინიშნებებით და რაბლეს სერიოზული პრობლემები შეექმნებოდა, რომ არა გავლენიანი მეგობრების მფარველობა. ერთმა მათგანმა, ეპისკოპოსმა



ჟან დიუ ბელემ, რომელიც მეფისგან რომის პაპთან იყო წარგზავნილი დიპლომატიური მისიით, რაბლეს მასთან ერთად გამგზავრება შესთავაზა პირადი ექიმის სტატუსით. დათანხმდა რა ამ შემოთავაზებას, რაბლეს ერთი მიზანი ამოძრავებდა: მეტი თავისუფალი დრო საშუალებას მისცემდა გაეღრმავებინა ცოდნა სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის – მედიცინაშიც. რაბლე იქ საინტერესოდ ცხოვრობს: ხვდება სწავლულებს, ინტერესდება მედიცინის მიღწევებით, სწავლობს იტალიის ფლორას და ფაუნას... ეს შთაბეჭდილებები დაეხმარება შემდგომ, სამშობლოში დაბრუნებულს, გააგრძელოს ექიმად მუშაობა ლიონის ჰოსპიტალში, სადაც გროშებს უხდიდნენ, ისევე, როგორც გამოცემული, რის გამოც უკმაყოფილებას გამოხატავდა. მორიგე ექიმის მოვალეობის შესრულება კი, რაც მამის უხდებოდა რაბლეს, საკმაოდ მძიმე იყო: 200 ავადმყოფი ერთ პალატაში და რამდენიმე – ერთ სანოლზე, ყოველგვარი ჰიგიენური ნორმის დაცვის უგულებელყოფით. როცა იმდროინდელ მედიცინაზე ვსაუბრობთ, უნდა აღინიშნოს მამინდელი ტენდენციის შესახებ, რომლის მიხედვითაც ხშირად მკურნალობდნენ მცენარეებით, სისხლის გამოშვებით, რძის პროდუქტების დიეტით, საფენების დადებით და ა. შ. ბევრი ექიმიც ხშირად მიმართავდა მკურნალობის აღნიშნულ „მეთოდებს“ და მეტიც: თილისმა, შელოცვა, სხვადასხვა ცხოველის თუ ქვეწარმავლის კბილების და თათების გამოყენება „ეფექტიანი“ შედეგისთვის“, ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ყველაფერ ამას შემდგომ რაბლე დასცინის თავის წიგნებში. გარდა ამისა, ყოველწლიურ აღმანახში საინტერესო სტატეგებს აქვეყნებს თეოლოგიის საკითხებზე, სადაც ილაშქრებს ცრურწმენის და სამღვდელთაში გამეფებული მანიკერების წინააღმდეგ. მალე გამოიცა „პანტაგრუელის“ მეორე წიგნიც, რომლის ტირაჟიც აღემატებოდა ბიბლიისას. ბევრისთვის წიგნი სამაგიდოდ იქცა: სახუმარო ეპიზოდებსა თუ მინაარსიან მოთხრობებში, სადაც მკაფიოდ იკვეთება რაბლეს ერუდიცია, დაკვირვებული მკითხველი პოულობდა პასუხს რელიგიის, სახელმწიფოებრივი წყობის, აღზრდის, სულიერების, ეკლესიის როლის, მეცნიერებისა და მედიცინის საჭირობოროტო საკითხებზე. თუმცა სორბონის უნივერსიტეტის

სწავლულების გაკიცხვას იგი ვერ გადაურჩა თამამი აზრების და პროგრესულად მოაზროვნე ჰუმანისტებთან კავშირის გამო და 1935 წელს რაბლე ჰოსპიტლიდან დაითხოვეს, რასაც დიდად არც შეუშუშებია, რადგან ჟან დიუ ბელესთან ერთად ისევ რომში, ვატიკანში, გამგზავრების შესაძლებლობა მიეცა. ისარგებლა რა ამ ვიზიტით, რაბლემ პაპ პავლე III-ს ცოდვების შენდობა სთხოვა არა ნაწარმოებში გამოთქმული აზრების, არამედ წარსულში მონასტრის დატოვების გამო. პაპი ნებას რთავს დაუბრუნდეს რომელიმე მონასტერს და გააგრძელოს სამედიცინო საქმიანობა. საკუთარი პერსონის „ლეგალიზაციის“ შემდეგ, თავისუფლდება რა მძიმე ვალდებულებების და სინდისის ქენჯნისგან, სამონასტრო ცხოვრებას უთავსებს საექიმო საქმიანობას, შემდეგ კი ისევ მონაპოვით უნივერსიტეტში: ბოლოს და ბოლოს მიიღო მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი!.. ორი წლის მანძილზე იგი კითხულობდა ლექციებს ანატომიაში, მუშაობდა სტუდენტებთან ანატომიურ თეატრში. როგორც აღნიშნავენ, იყო ერთ-ერთი პირველი, ვინც ადამიანის სხეულის გაკვეთაზე ჩაატარა ცდები. ამავე დროს რაბლე ხშირად ჩადიდოდა ლიონში, რათა ყურადღება მიექცია პანტაგრუელის საგმირო საქმეების შესახებ რომანის ახალი გამოცემისთვის, რომელიც გასაოცარი პოპულარობით სარგებლობდა საფრანგეთში, თუმცა მკაცრი დროება მის შემოქმედებით აქტივობას ფრთებს უკეცვავს – დიონის არა მარტო ერეტიკოსების, არამედ პროგრესულად მოაზროვნე ადამიანების დევნა. მკაცრი ცენზურა დანესდა საგამომცემლო საქმიანობაზე. კოცონზე დანევს მისი მეგობარი, მწერალი გამომცემელი ეტენ დოლე-ინკვიზიციის კოცონის ალი რაბლემდეც აღწევდა... და ისევ მეგობრების მფარველობა... ამჯერად ხსნა ჟან დიუ ბელეს ძმის, სასახლის კარზე საკმაოდ დანესდა საგამომცემლო საქმიანობაზე, რომლის ოჯახის ექიმიც გახდა რაბლე და 4 წლის მანძილზე უფრო ხშირად იყო საზღვარგარეთ, ვიდრე, სამშობლოში. შემდეგ ისევ მღვდლობა საფრანგეთის ერთ-ერთ ქალაქში, სადაც საკვირაო წირვებს ენაცვლებოდა მისი აღმზრდელი მითი და საექიმო საქმიანობა, ისევ მზადება წიგნის სრულყოფილი გამოცემისთვის, რაც შეძლო კიდევ სიცოცხლის ბოლოს.

რაბლეს წიგნებს ბევრი მკვლევარი სამედიცინო ენციკლოპედიაშიც უწოდებს. აქ შეხვდებით არაერთი დავადების აღწერას. ავტორი არაერთგზის ცდილობს ცოდნა გაგვიზიაროს, ვთქვათ, ანატომიაში, ასევე – ფარმაციაში: აღწერს სხვადასხვა მცენარის სამკურნალო თვისებებს.

რაბლე არა მარტო გულიანად აცინებს მკითხველს, ხშირად მიმართავს სატირას ცხოვრების მანკიერი მხარეების წარმოსაჩვენად. მასთან, მაგალითად, ირონიზებულია არაჯანსაღი ცხოვრების წესი: გარგანტუა სადილად მხოლოდ იმდენს ჭამდა, რომ „მოეკლა შიმშილის ჭია“, სამაგიეროდ ვახშამი იყო ნოყიერი: სალამოს საკვებს დიდ რაოდენობით მიირთმევდა, რომ „კარგად მოძლიერებულიყო“. კვების ასეთ რეჟიმს სწორად მიიჩნევდნენ იმდროინდელი ექიმები, რომელთა პროფესიული კომპეტენცია ხშირადაა გამარჯებული ნაწარმოებში. მეორეგან მწერალი გმირს ათქმევინებს: „განა შე სხვაზე ნაკლებად ვვარჯიშობ? სანამ ავდგები, შეიძლება გადავბრუნდები ერთი გვერიდან მეორეზე. განა ეს ცოტაა?“... (მკითხველი უთუოდ ილიას ცნობილი პერსონაჟი გაახსენდება. სხვათა შორის, ცნობილია, რომ თავის დროზე რაბლეს აღმზრდელითი შეხედულებების განხილვას ილია ჭავჭავაძემ საგანგებო წერილიც მიუძღვნა).

ეპოქის მანკიერებებთან ბრძოლის იარაღად ექიმი მწერალი განათლებას მიიჩნევს: „ცოდნა განდევნის ავადმყოფობას... გამოვკვიყვანს უმეცრების წყვილადიდან...“

„სიცილის მახვილით“ აღჭურვილ მწერალზე ბევრი თქმულება და ანექდოტი არსებობს. ზოგი მას ფრანგ ხოჯა ნასრედინსაც უწოდებს. მკურნალობს თუ არა ის სიცილით? – რა თქმა უნდა! ჩვენ, ყველანი, მისი პაციენტები ვართ, სამყაროს უკიდევანო ლაბირინთში გაბნეულები და არცოდნით სნეულები!..

მოამზადა ნატო გოლქვაძემ

**„საქართველო გარე“**  
რედაქცია  
ვაჟა-ფშაველას  
გამზირი №33,  
ოთახი №600,  
ტ.: 254-24-64

რედაქტორი  
**ლელა ჯიყაშვილი**  
კორექსორდენტები:  
**მანანა ფხალაძე**  
ტ.:555 29 98 27  
**დარეჯან კოხლაძე**  
ტ.:558 17 08 47  
**ნატო გოლქვაძე**  
ტ.:555 28 28 97

ელ-ფოსტა  
**newspaprtsmu@gmail.com**

